ვამტკიცებ

_____

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის"
მმართველი დირექტორი
საწარმოო დარგში
ე.უტეუბაევი

«____» _____ 2025 წ.

საზღვაო ბუქსირის შესყიდვაზე
ტექნიკური დავალება

დამკვეთი: შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური".

სამუშაოების მახასიათებლები: ახალი საზღვაო ბუქსირის მიწოდება.

ობიექტის სახეობა და დასახელება: 3500-დან 5135 ც/ძ-მდე სიმძლავრის საზღვაო ბუქსირი

მოთხოვნები პოტენციურ მენარდესთან (სატენდერო დოკუმენტაციასთან):

წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ძირითადი და დამხმარე აღჭურვილობებისა და მექანიზმების ტექნიკური დოკუმენტაცია;
- გემის ზომები და გაბარიტები;
- რეზერვუარების ტევადობა (ტანკებისა და ცისტერნების);
(საწვავის მარაგი- სახარჯო ცისტერნების აღრიცხვის გარეშე არანაკლებ 120 კუბ.მ., მტკნარი წყალის მარაგი- არანაკლებ 70 კუბ.მ.)
- წინა და უკანა სვლის წევის ძალა;
- მთავარი ძრავების მარკა და ტექნიკური მონაცემები;
- სახანძრო ბუქსირის კლასის შესაბამისი ხანძრის საწინააღმდეგო აღჭურვილობის ტექნიკური მონაცემები, გემის აღჭურვილობის ადგილმდებარეობის მითითებით ზოგადი სქემატური ნახაზები.
- გემბანის აღჭურვილობის (ღუზა და საღუზე-მისაბმელი მოწყობილობა, საბუქსირო ჯალამბარი) დამხმარე აღჭურვილობების მარკა და ტექნიკური მონაცემები (ტუმბოების, დიზელ-გენერატორების და ა.შ), რადიოლოკაციური და რადიონავიგაციური აღჭურვილობა;
- ძირითადი მექანიზმებისა და აღჭურვილობის გეგმიური ტექნიკური მომსახურების წარმოებისათვის გემის სათადარიგო ნაწილების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების კომპლექტების არსებობა (სათადარიგო ნაწილები).
- გემზე საჭირო ავარიული აღჭურვილობის არსებობა;
- დამკვეთის წარმომადგენლის თანდასწრებით სავალი გამოცდების ჩატარება (და ასევე, საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის გამოცდები);
-ბათუმის ნავსადგურში გემის მიწოდების შემდეგ, გემის აღჭურვილობის გაცნობა და დამკვეთის ეკიპაჟის პრაქტიკული სწავლების ჩატარება, არანაკლებ 5 (ხუთი) დღე-ღმისა;
- წარმოადგინოს გემის ტექნიკური და ზოგადი დოკუმენტაცია ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხვენებისადმი გემის შესაბამისობა (სიმბოლოშიგემის მინიჭებული კლასის მითითებით). „ნავთობით დაბინძურების პრევენციის საერთაშორისო სერტიფიკატები", „ნაგვით გარემოს დაბინძურების პრევენციის შესახებ", „დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატები";
- ბოლო 5 (ხუთი) წლის სამუშაო მოღვაწეობის განმავლობაში ტიპიური გემების მიწოდებისა და მშენებლობის რაოდენობის და გამოცდილების არსებობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;
- ბუქსირის წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა (გემთსაშენი ქარხანა, ოფიციალური დილერი ან პარტნიორი, რომელიც მწარმოებლის სახელით მოქმედებს და ა.შ.).

მიწოდების ვადები: 12 (თორმეტი) თვე
გარანტიის ვადა: გემის მიღებისა და ექსპლუატაციაში შეყვანამდე შესაბამისი საბუთების ხელმოწერის მომენტიდან 12 (თორმეტი) თვე.**მიწოდების პირობები:** ბათუმის ნავსადგურამდე მიწოდება

დანიშნულება: ნავთობტერმინალებთან, მათ შორის ნავთობჩამომსხმელი გემების მიბმისას საბუქსირე და საშვარტო ოპერაციების შესრულებაზე. ზღვაში მცურავი საშუალებების ბუქსირება. მონიტორების საშუალებებით (ლაფეტები) სხვა გემებსა და ნავმისადგომებზე ხანძრის ქრობა.

მზა ნაკეთობის (გემი) მიმართ მინიმალური მოთხოვნები, ძირითადი ტექნიკური მონაცემები და მახასიათებლები:
- გემის კლასი: KM (Nippon Kaiji Kyokai (ან BV), შეუზღუდავი ნაოსნობა) FF1WS;
- უდიდესი სიგრძე: 28 მეტრამდე;
-წყალშიგი: 5 მეტრამდე;
- ძირითადი ძრავები: ორი დიზელის ძრავი, 3500-დან 5135 ტ/ძ საერთო სიმძლევრით;
- მაძრავები: აზიმუტური მაძრავის საცმში 2 ხრახნი;
- გენერატორები:2 x არანაკლებ 100 კვტ;
- წევის ძალა: მინიმუმ 40 ტონა უკანა სვლით, მინიმუმ 45 ტონა წინა სვლით.

რადიონავიგაციური და რადიოლოკაციური აღჭურვილობა, კავშირის საშუალებები, ნავიგაციური სისტემები:
-ნაოსნობისა რაიონი უნდა შეესაბამებოდეს A1 მოთხოვნებს;
- მაგნიტური კომპასი;
- გიროკომპასი;
- სტაციონარული VHF რადიოსადგურები 25 ვატიანი DISTRESS სიგნალის მიწოდების სისტემით (ორი კომპლექტი);
- გადასატანი აფეთქების საწინააღმდეგო, მცურავი VHF რადიოსადგურები 5 ვატიანი VHF დიაპაზონით (ორი კომპლექტი);
- პორტატული აფეთქების საწინააღმდეგო, მცურავი VHF რადიოსადგურები 5 ვატიანი VHF დიაპაზონით (ორი კომპლექტი);
- GPS გლობალური პოზიციონირების სისტემა (ერთი კომპლექტი);
- SART რადიოლოკაციური მოპასუხე;
- EPIRB საავარიო რადიო ბუი;
- საერთაშორისო ავტომატიზირებული განგაშის სისტემა NAVTEX;
- A კლასის ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემა AIS მონიტორით;
- Echo sounder ექოლოტი;
- სავახტო თანაშემწის შესაძლებლობების მონიტორინგის სისტემა BNWAS;
- რადარი მინიმუმ 35 საზღვაო მილის ხილვადობის დიაპაზონით;
- ხმამაღლა მოლაპარაკე სატრანსლაციო აღჭურვილობა (გემი-ხმელეთი, სავალი ხიდური- სამანქანო განყოფილება და გემის შიდა);
- დასაკეცი ანძა მესარიდით;
- ელექტრონული კარტოგრაფიული და ინფორმაციული მოწყობილობა ECDIS.

სამაშველო საშუალებები:
- ბორტზე მყოფი ადამიანების რაოდენობის 100%-ისთვის SOLAS SOFT A PACK სამაშველო ტივი;
- მინიმუმ 2 სამაშველო რგოლი (1 მანათობელი ბუით, 1 30 მეტრიანი ზონარით);
- გემზე მყოფი ადამიანების 100%-ისთვის აღჭურვილი სამაშველო ჟილეტები (ნათურები ელემენტებით და სასტვენები);
- თერმოდამცავი კოსტიუმი (ორი კომპლექტი);
- მეხანძრის კოსტუმი (ორი კომპლექტი);

- ჰიდრო კოსტიუმი (ორი კომპლექტი);
- თოკმსროლელი აპარატი;
- EEBD -სასუნთქი აპარატი სამანქანე განყოფილებიდან ავარიული გამოსვლისათვის;
- პიროტექნიკა-პიროტექნიკა (ორი წითელი პარაშუტის შუშხუნა, ორი პიროტექნიკური სასიგნალო შუქი, ორი კვამლის ყუმბარა);

ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები:
- ფხვნილის ან ნახშირორჟანგის ცეცხლმაქრები, მინიმუმ 6 ცალი;
- სახანძრო ჰიდრანტები სახშობით (თითო თითოეულ ბორტზე, კიჩოზე და ცხვირის მხარეს);
- სახანძრო ყუთები მინიმუმ 25 მეტრის სიგრძის სახანძრო სახელოთი (მილებით) და კომბინირებული სახანძრო ჭაური (თითო თითოეულ ბორტზე, კიჩოზე და სამანქანე განყოფილებაში);
-სამანქანე განყოფილებიდან საავარიო გამოსასვლელი;
- ქეჩა;
- გადასატანი საავარიო სახანძრო ტუმბო;
- სამანქანო განყოფილებაში სტაციონალური აეროზოლური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;

გემის განათება:
- ცხვირის და კიჩოს ნაწილში, LED პროჟექტორები 700-დან 1000 ვატამდე განათებით, წყალგაუმტარი (AP 65) სარკისებური ანარეკლითა და დისტანციური მართვის პულტით.
- გარე განათება, სამი LED ნათურა 30 ვატიანი განათებით თითოეულ ბორტზე და ერთი LED ნათურა 30 ვატიანი განათებით ცხვირის და კიჩოს მხარეს, წყალგაუმტარი (AP 65).

სიგნალიზაცია და დაკვირვების სისტემა:
- ვიდეოდაკვირვების CCTV კამერები ჩაწერით (ცხვირის, კიჩოს, სამანქანე განყოფილების და სავალ ხიდურზე);
- ხს სისტემა ხანძარსაწინააღმდეგო საავარიო სისტემა (საცხოვრებელ და სამსახურებრივ შენობებში).

გემის მიბმა-საღუზე და საბუქსირე მოწყობილობა:
- ცხვირის ჰიდრავლიკური საბუქსირო ჯალამბარი, 15 ტონა წევით, 100 ტონა მუხრუჭით, პოლიპროპილენის ბოლოთი Ø72 მმ დიამეტრით, 220 მ სიგრძის და კიჩოს ფოლადის გვარლით 500 მ სიგრძის დიამეტრით, რომელიც შეესაბამება წევის ძალას;
- საბუქსირე კაკვი 50 ტ წევისძალით, სწრაფი ჩამგდები სისტემით.

საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ფართის აღჭურვილობა:
- ეკიპაჟისთვის განკუთვნილი ოთხი ორადგილიანი კაიუტა;
- კაპიტანისა და მთავარი მექანიკოსისათვის ცალკე კაიუტები;
- გემის სამზარეულო აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე საყოფაცხოვრებო სამზარეულოს აღჭურვილობით;
- კომპიუტერული ტექნიკითა და ტელევიზორით აღჭურვილი კაიუტ კომპანია;
- ყველა დახურული საცხოვრებელი სივრცის მომარაგებისთვის სტაციონარული ან საყოფაცხოვრებო კონდიციონერები;
- საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანა;
- აღჭურვილი აბაზანა (შხაპი, საპირფარეშო).

გემი უნდა შეესაბამებოდეს საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოებების საერთაშორისო ასოციაციის (MAKO) წევრის და ზღვაში სიცოცხლის უსაფრთხოების საერთაშორისო კონვენციის (SOLAS) მოთხოვნებს.

ბუქსირს უნდა ჰქონდეს ყველა გემის სერტიფიკატი და დოკუმენტაცია, რომელიც გემს საზღვაო პრაქტიკის განხორციელების უფლებას აძლევს. მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ყველა კვანძისა და მექანიზმის ტექნიკური დოკუმენტაციის სრული კომპლექტი, და ასევე ყველა ნახაზი და ინსტრუქცია 2 (ორ) ეგზემპლარად რუსულ და ინგლისურ ენებზე.

შეადგინა:

სანავსადგურე ფლოტის ტექნიკური სუპერინტენდანტი თანამდებობა	/...../ ხელმოწერა	ბ.ფუტკარაძე სახელი, გვარი

შეთანხმებულია:

ოპერაციული დირექტორის მ.შ. თანამდებობა	/...../ ხელმოწერა	თ.დიასამიძე სახელი, გვარი
მმართველი დირექტორი კომერციის დარგში თანამდებობა	/...../ ხელმოწერა	ბ.ბიტაბაროვ სახელი, გვარი
შესყიდვებისა და კონტრაქტების კოორდინატორი თანამდებობა	/...../ ხელმოწერა	ნ.აბაშიძე სახელი, გვარი
სანავსადგურე ფლოტის განყოფილების უფროსი თანამდებობა	/...../ ხელმოწერა	რ.ფაღავა სახელი, გვარი